ISSN 1987-5134

# საბავშვო კარუსელი






ფასდაკლების ვაუჩერი

ამოჭერი ვაუჩერი,
წარადგინე „ბიბლუსის“
ნებისმიერ მაღაზიაში და
მიიღე წიგნი
ფასდაკლებით

საბავშვო კარუსელი

ვაუჩერი ძალაშია
19 აგვისტოდან
25 აგვისტოს ჩათვლით

წიგნი პაზლებითა
და ფანქრებით

~~18 ლარი~~

8.99 ლარი


შემეცნებით-
გასართობი
ჟურნალი

32

19 აგვისტო, 2016 წელი
გამოდის პარასკეობით
ფასი 2 ლარი

www.facebook.com/საბავშვო-კარუსელი

# მხიარული დათუნიები

დათუნია ბუნის ამბები, შეიძლება, უკვე ნახე კიდეც. მხიარული დათუნიების თავგადასავალს უამრავი ბავშვი ადევნებს თვალს და ძალიანაც მოსწონთ. ეს გმირები და მათ შესახებ მულტფილმი ჩინეთში გამოიგონეს და ამ ქვეყანაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.



ის პირველად 2012 წელს გამოვიდა ეკრანებზე და ისეთი პოპულარული გახდა, სერიებიც გადაიღეს და შოუებიც. ჩინელი ბავშვებისთვის ის ერთ-ერთი საყვარელი მულტფილმია.





დათუნია ბუნი და მისი მეგობრები – ბრიარი და ბრამბლი დაუძინებელ მტერს – ლოგერ ვიკს ებრძვიან, რომელიც მათ მშობლიურ ტყეს ემტერება და მათი სახლის დანგრევა უნდა. თუმცა, ლოგერი შემდეგ მათი მეგობარი ხდება.





ლოგერ ვიკს ბოროტი უფროსი ჰყავს – ბოსი ლი. აი, ის კი ისეთი ბოროტია, მას დათუნიები ვერ იმეგობრებენ. მასთან ბრძოლაში მეგობრებს ტყის სხვა ბინადრებიც ეხმარებიან და ერთობლივი ძალებით, რა თქმა უნდა, ახერხებენ, რომ სიკეთემ გაიმარჯვოს.

# უორენის ლაბირინთი

დაეხმარე უორენს, მის საყვარელ სასუსნავამდე მიაღწიოს. რომელი გზით გავა სწორად?



# ლოგერ ვიკის ნივთები

მეტყევე ლოგერ ვიკმა თავისი ნივთები დაკარგა. ამ ნივთებში ამოარჩიე ისინი, რომლებიც შეიძლება მას ეკუთვნოდეს და მასთან ხაზებით დააკავშირე.



# იფიქრე და გაერთე



იპოვე ბრამბლის ზუსტი ჩრდილი.

რომელი ფრაგმენტი არ ეკუთვნის ამ გამოსახულებას? – ერთია ზედმეტი.






# განსხვავებები

აბა,
რამდენ
განსხ-
ვავებას
იპოვი
ნახატებს
შორის?





# კროსვორდი „საჰაერო ბურთი“




1 ოპტიმუს ... („ტრანს-ფორმერები“)

2 მულტფილმი სასაცილო ბანანებზე;

3 შორს საჭვრეტი მოწყობილობა;

4 „... და სტიჩი“

5 ელიოტი – რქამო-ტეხილი ... „ნადირობის სეზონიდან“;

6 მეფე ლომი;

7 ტრანსფორმი-რებადი ბურთი;

8 „კუ ...“;

9 შეღამება;

10 „... გამყინვარება“;

11 უოლტ ..., პირველი მულტიპლიკატორი;

12 უცნობი გან-ტოლებაში;

13 „...-ს მცვე-ლები“ (ჯეკი, ბენჯენი);

14 „... და სახურავის ბინადარი კარლსონი“;

15 სიმბას მეგო-ბარი ლომი;

16 „მხეცი და ...“;

17 გამორჩეული ნიჭის მქონე, ანუ ...;

18 სადაც მოკრივეები იბრძვიან.



# მოზაიკა



ამოჭერი დეტალები და მოცემული ნიმუშის მიხედვით ააწყვე ნახატი.





# აპლიკაცია





მოიმარჯვე მაკრატელი, წებო, მუყაო ან თაბახის ფურცელი და შეუდექი მუშაობას. ამოჭერი ყველა დეტალი და ნიმუშის მიხედვით, მუყაოზე დააწებე. მიიღებ მშვენიერ ქოთანს და თუ სურვილი გექნება, ჩარჩოში ჩასვი და კედელზე დაკიდე.

# სახალისო გვერდი

თუ შენი სახელი ხმოვანზე იწყება, გადახაზე ნივთი, რომელსაც ეკრანი აქვს; **1**

თუ სკოლაში დადიხარ, მოძებნე საგანი, რომელიც ადამიანივით ორ ფეხზე დადის, მაგრამ სინამდვილეში რკინისაა; **2**



თუ შენი სახელი თანხმოვანზე იწყება, ის საგანი გადახაზე, რომელსაც თავზე ვიხურავთ; **3**



თუ ისევ ბაღში დადიხარ, იპოვე ნივთი, რითიც პატარებს ასეირნებენ; **4**

თუ გოგო ხარ, მოძებნე ზაფხულის ყველაზე გემრიელი ნუგბარი; **5**





თუ ბიჭი ხარ, იპოვე საგანი, რომლითაც გაფრენა შეიძლება; **6**





# სუდოკუ და ვინქსები

შენც ითამაშე! მარტივია: ყველა ხაზსა და სვეტში მხოლოდ ერთხელ შეიძლება მოხვდეს რიცხვები ერთიდან სამამდე.






# ფლორას რჩევა:

გამოჭერი ვინქსების აქსესუარები და მიაკარი ისინი შენს საყვარელ ნივთებს.









ფლორა პასუხისმგებლობით ეკიდება ყველაფერს, რასაც აკეთებს... და შედეგიც სახეზეა! შენც შეუერთდი ამ სახალისო საქმიანობას!



ვინქსების შესახებ მეტი წაიკითხე წიგნში




კმაყოფილი ხარ შედეგით?





# კროსვორდი „არჩევანი“

სამი ვარიანტიდან აირჩიე, რომელია ზედმეტი და ჩასვი გამოტოვებულ უჯრებში.








**1**
- კომოდი;
- ბანაკი;
- კარავი.

**2**
- ბანანი;
- რეჰანი;
- წიწაკა.



**3**
- აქლემი;
- ჟირაფი;
- არწივი.



**4**
- ირემი;
- წიგნი;
- ჩანთა.

**5**
- მელია;
- კალია;
- მგელი.





**6**
- კარადა;
- ტოროლა;
- საწოლი.



**7**
- ბეჭედი;
- ენძელა;
- საყურე.

**8**
- ივლისი;
- მაწონი;
- ნაყინი.



# ანდაზები

ჩამოთვლილი ფრაზებიდან შეარჩიე ანდაზის დასასრული.



1

უტვინო თავი ფეხებს...

ა. ძლივს მიათრევდაო;

ბ. ძალას ატანდაო;

გ. ჭაერში ისროდაო.



2

ზარმაცისათვის ყოველი დღე...

ა. ტანჯვააო;

ბ. უქმეაო;

გ. ერთნაირიაო.

3

ადრე ამდგარსა კურდღელსა...

ა. ვერ გაასწრებს ვერავინო;

ბ. ვერ დაეწევა მწევარიო;

გ. მალევე დაიჭერენო.





4

უძაღლო ქვეყანაში...

ა. კატას აყეფებდნენო;

ბ. არავინ ყეფდაო;

გ. ვირები ყროყინებდნენო.



5

ყვავი ყვავს ეუბნებოდა...

ა. რა ლამაზად გამოიყურებიო;

ბ. თვალით არ დამენახოო;

გ. რა შავი ხარო.

პასუხები: 1. ბ; 2. ბ; 3. ბ; 4. ა; 5. გ.

# ნახატებიანი კროსვორდი



1

თამაში ამ ფიგურებით;





7



3



4



8



6

კაის მეგობარი გოგონა;



2



9



10



5





დააკვირდი და გააგრძელე.

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 8 | | 8 | | 8 | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | |

წაიკითხე ციფრები და დახატე იმდენი საგანი, რამდენიც აკლია.






# თამაში „ძაღლების რბოლა“

ამ თამაშში 2 ბავშვი მონაწილეობს, თუმცა მეტისთვისაც შესაძლებელია. დაგჭირდებათ კამათელი და იმდენი ფანტი, რამდენი მოთამაშეცაა. დააწყვეთ ფანტები „სტარტზე“ და გააგორეთ კამათელი. გადაადგილდით იმდენი უჯრით, რა ციფრზეც კამათელი დაჯდება. გამარჯვებულია ის, ვინც პირველი მივა ფინიშთან.






თუ წითელ უჯრაზე
მოხვდებით,
ერთი სვლა უნდა
გამოტოვოთ.

# მხიარული და

ცირკი დათუნია ბუნის და მისი მეგობრების საყვარელი ადგილია. თქვენ, ალბათ, ნამყოფი ხართ ცირკში, მაგრამ იცით, რომ ეს სანახაობა საუკუნეების წინაც აოცებდათ ადამიანებს?

სიტყვა ცირკი ლათინურიდან მომდინარეობს და წრეს ნიშნავს, რაც არ არის შემთხვევითი. ცირკის არენა ხომ წრიულია. იცით რატომ? თავდაპირველად ცირკში მხოლოდ ცხენების მონაწილეობით დგამდნენ წარმოდგენებს და სწორედ ცხენების სარბენად იყო ეს არენა მოწყობილი.



ცირკის მსგავსი სანახაობა, ჯერ კიდევ, ძველ რომში ჰქონდათ. ოღონდ, მაშინ არენაზე სახალხო წარმოდგენებს აწყობდნენ, ცხენების რბოლას მართავდნენ და ეტლებით ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. აქვე ეწყობოდა ცნობილი გლადიატორების ბრძოლა, როგორც ადამიანებს შორის, ასევე ცხოველებთანაც.



გააფერადე ჯამბაზი

# საინტერესო ცირკი

მე-17 საუკუნეში მოხეტიალე ცირკები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაჩნდა. კლოუნები, აკრობატები და კონფერანსიეები ეტლებით დახეტიალობდნენ და წარმოდგენების დიდ კარავში მართავდნენ.





თანამედროვე ტიპის ცირკები კი მე-18 საუკუნის ბოლოს საფრანგეთში გაჩნდა. მისი დამაარსებლები იყვნენ ინგლისელი ცხენოსნები – მამა-შვილი ასტლეიები. მათ 1774 წელს პარიზში ააგეს დიდი, მრგვალი დარბაზი, რომელსაც ცირკი უწოდეს და ძირითადად, წარმოადგენდნენ ილეთებს ცხენებით და მცირე აკრობატულ ეტიუდებს.

თანდათან ცირკი, როგორც დიდი სანახაობა, გაჩნდა ბევრ ქალაქში, გამოჩნდნენ მასხარები, გაწვრთნილი ცხოველები, შეიქმნა ბევრი ორიგინალური პროგრამა და ცირკი ბევრი ადამიანისთვის საყვარელ სანახაობად იქცა.



# ჯადოსნური მუხა



დიდი ხნის წინ, იყო ერთი ტყე, სადაც მოჯადოებული ხეები ცხოვრობდნენ. ხეები ადამიანებივით დადიოდნენ და როცა დასჭირდებოდათ, უჩინარდებოდნენ. ყველაზე საოცარი კი, ერთი ბებერი მუხა იყო. თუ ბედი გაგიღიმებდა და მას გადააწყდებოდი, მის ძირას პატარა კარს დაინახავდი. შიგ ბავშვი თავისუფლად შეეტეოდა. შეხვიდოდი თუ არა, ფერიების ულამაზეს ქვეყანაში ამოყოფდი თავს. საოცარი ის იყო, მათ ქვეყანაში თავადაც უჩინარი ხდებოდი!

ჯოშისა და მეგანის ოჯახმა ტყის პირას კოტეჯი დაიქირავა უქმეების გასატარებლად. ბავშვები მაშინვე სათამაშოდ გაიქცნენ და ტყის პირას ჯადოსნურ მუხას გადააწყდნენ. მეგანმა მაშინვე იპოვა კარი, ჯოშმა კი ხელი ჰკრა და შეაღო. ბავშვები მზით გაჩახჩახებულ ადგილას აღმოჩნდნენ. ჯოშმა მოშორებით მწვანედ აბიბინებული გორაკები და ნაირფერი ყვავილები დაინახა, ვეღარ მოითმინა და იქით წავიდა, მეგანიც მას მიჰყვა.





მეგანი და ჯოში ბილიკს გაუყვნენ და ორი ფრთაფარფატა, ლამაზი ფერია დაინახეს, ოდნავ მოშორებით კი მესამესაც მოჰკრეს თვალი. საოცარი იყო, ბავშვებს ყურადღებას არავინ აქცევდა და მიხვდნენ, რომ ამ საოცარ ქვეყანაში ისინი უჩინრები გამხდარიყვნენ. მეგანმა და ჯოშმა ჩაუარეს პაწაწინა სახლებსა და ციხე-კოშკებს, ნემსიყლაპიებსა და პეპლებზე შემომსხდარ ჯუჯებსა და ფერიებს, რომლებიც თავიანთ საქმეებზე მიეშურებოდნენ.

ბავშვებმა იარეს, იარეს და აღმოაჩინეს, რომ ბილიკი წრიული ყოფილა. ერთი საათის შემდეგ, უკვე პატარა კართან იყვნენ. უცებ გაიგონეს, როგორ ეძახდათ მამიკო, შინ შემოდით, ვისადილოთო. როცა მეგანი და ჯოში მოჰყვნენ, რაც თავს გადახდათ, მშობლებმა არ დაუჯერეს. ბავშვებმა გადაწყვიტეს, ის კარი მათთვისაც ეჩვენებინათ, მაგრამ ხე სადღაც გამქრალიყო! ჯოში და მეგანი გაოგნებულები იდგნენ და იმაზე ფიქრობდნენ, ეს ყველაფერი ხომ არ დაგვესიზმრაო? უეცრად, ცხვირწინ ნემსიყლაპიაზე გადამჯდარმა ჯუჯამ ჩაუქროლათ და ტყეში გაუჩინარდა. ბავშვებმა გაიღიმეს. არა, ნამდვილად არაფერი დასიზმრებიათ!



*ზღაპარი გადმოტანილია „პალიტრა L“-ის წიგნიდან „365 ძილისპირული ამბავი“*

გააყოლე ხაზებს კალამი ან ფანქარი და გაივარჯიშე ხელი – მოემზადე სკოლისთვის.



# პატარებისთვის

დააკვირდი ამ საყვარელ ცხოველებს და ყველას უპოვე თავისი დრუნჩი.



# გააფერადე

შეაერთე წერ-
ტილები თან-
მიმდევრობით
და გააფერადე
ნახატი.



# გააფერადე



გამოიწერეთ ჟურნალი „საბავშვო კარუსელი“
და ისარგებლეთ ადგილზე მიტანის
უფასო მომსახურებით
დაგვიკავშირდით:
2 38 26 73; 2 38 26 74
ELVA.GE წიგნების და პრესის ხელმოწერის კომპანია

# შეამოწმე შენი ცოდნა





1. რომელ ცხოველს აქვს კუზი?



ა ვეფხვს
ბ აქლემს
გ ცხენს

2. რით დაჰყავს დედა კენგურუს თავისი შვილი?



ა ჩანთით
ბ ჩემოდნით
გ კალათით

3. რომელ ცხოველს უყვარს თაფლი?



ა ციყვს
ბ მგელს
გ დათვს




4. რომელი ბურთი არ არის მრგვალი?

ა ფეხბურთის

ბ კალათბურთის

გ რაგბის



5. რა ჰქვია ცხენების სასაპარეზო ადგილს?

ა აეროდრომი

ბ იპოდრომი

გ ველოდრომი





6. რა ერქვა მალვინას ძაღლს?

ა ბიმი

ბ არტემონი

გ ბობი



7. ასე ჰქვია შეჯიბრების დასაწყისს:

ა ფინალი

ბ ფინიში

გ სტარტი



8. ამ ლამაზ ყვავილს „სამკითხაო“ ყვავილსაც უწოდებენ:

ა გვირილას

ბ ყაყაჩოს

გ ენძელას

ტესტი

# ვის ენდობი ყველაზე მეტად?

მათემატიკაში საშინაო დავალების ამოხსნა გაგიჭირდა, დახმარებისთვის მიმართავ...
ა) დედას;
ბ) მეგობარს;
გ) ამისთვის არავის შეაწუხებ.

პრობლემების გადაჭრაში გეხმარება...
ა) დედა, მან კარგად იცის შენი ხასიათი;
ბ) კლასელი;
გ) გააჩნია, რა შემთხვევაში.

გინდა ლამაზად გამოიყურებოდე, რჩევისთვის მიმართავ...
ა) დედას ან მამას, შენთვის ტანსაცმელს ყოველთვის ისინი ყიდულობენ;
ბ) მეგობარს, თქვენ ყველაფერი ერთნაირი მოგწონთ;
გ) არავის, სხვისი აზრი არ გაინტერესებს.

ვის შეგიძლია გაანდო შენი საიდუმლო?
ა) დედას ან მამას, რომლებიც შენს საიდუმლოს არავის გაუმხელენ;
ბ) მეგობარს, რომელსაც ენდობი;
გ) საიდუმლოებები არ გაქვს.

სამოგზაუროდ წახვიდოდი...
ა) მშობლებთან ერთად. ისინი მზრუნველობას არ მოგაკლებდნენ;
ბ) მეგობართან, საერთო ინტერესები გაქვთ და მხიარულად გაატარებდით დროს;
გ) მთავარია იმოგზაურო, გვერდით ვინ გეყოლება მნიშვნელობა არ აქვს.

თუ შენს პასუხებში ჭარბობს:

ა ვარიანტი:
შენი ყველაზე დიდი მეგობარი დედა ან მამაა, რომლებსაც ყველაზე მეტად უყვარხარ, ზრუნავენ შენზე და ყოველთვის შენს გვერდით იქნებიან.

ბ ვარიანტი:
სწავლაში, პრობლემების გადაჭრაში, ყველაფერში მეგობარს მიმართავ, მასთან ერთად სიამოვნებით იმოგზაურებდი. კარგია, რომ გყავს საუკეთესო მეგობარი.

გ ვარიანტი:
შენთვის მნიშვნელობა არ აქვს პრობლემის გადაჭრაში ვინ დაგეხმარება, საიდუმლოც არ გაქვს და დიდად არ გაწუხებს ვისთან ერთად იმოგზაურებ. კარგი იქნება, თუ გვერდით გულითადი მეგობარი გეყოლება.

# მხატვრის გვერდი

ამ ნახატებიდან რამდენიმე „ბიბლუსი ქიდს-ში“ გასართობად მისული პატარე-ბის დახატულია. თქვენც გაერთეთ „ბიბლუსი ქიდსში“, იქვე დახატეთ და საუკეთესო ნახატე-ბი ჩვენს ჟურნალში მოხვდება.


ვანო ელიაშვილი, 9 წლის


ნინო მორჩილაძე, 9 წლის


მაიკო ხუციშვილი, 8 წლის


გიორგი დოლბაძე, 6 წლის


მარიამ შველიძე, 10 წლის


ლუკა აზმაიფარაშვილი, 8 წლის


ირაკლი ბაინდურაშვილი, 5 წლის


მარიამ ფარსადაშვილი, 9 წლის


ლუკა ჩიხლაძე, 7 წლის



ნიკა ჯაფარიძე, 7 წლის


საბა გოგილაძე, 7 წლის

## №32-ის პასუხები

**გვ. 6. კროსვორდი „საჰაერო ბუშტი“:**
1. პრაიმი; 2. მინიონები; 3. ბინოკლი; 4. ლილო; 5. ლოსი; 6. სიმბა; 7. ბაკუგანი; 8. ნინძები; 9. ბინდი; 10. დიდი; 11. დისნეი; 12. იქსი; 13. სიზმრები; 14. ბიჭუნა; 15. ნალა; 16. ლამაზმანი; 17. ნიჭიერი; 18. რინგი.

**გვ. 12. კროსვორდი არჩევანი:**
1. კომოდი; 2. ბანანი; 3. არწივი; 4. ირემი; 5. კალია; 6. ტოროლა; 7. ენძელა; 8. ივლისი.

**გვ. 14. ნახატებიანი კროსვორდი:**
1. ჭადრაკი; 2. კარადა; 3. ნიჩაბი; 4. მამალი; 5. მგელი; 6. გერდა; 7. კრავი; 8. ვინი; 9. ვირი; 10. მინი.

**გვ. 26-27. შეამოწმე შენი ცოდნა:**
1-ბ; 2-ა; 3-გ; 4-გ; 5-ბ; 6-ბ; 7-გ; 8-ა.

**გვ. 30 სკანვორდი:**
1. კანფეტი; 2. ნალი; 3. ვაზი; 4. კაა; 5. დინოზავრი; 6. რკო; 7. ვარდი; 8. გიტარა; 9. კომპასი; 10. ვაზა; 11. კრივი; 12. თხა; 13. ვინი; 14. აბუ; 15. უთო; 16. ინდაური.


დაიბეჭდა სტამბა კოლორში

პალიტრამედიის ცხელი ხაზი: (995 32) 2 19 60 13
(995 32) 2 19 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
sabavshvo@palitra.ge
მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
სარეკლამო: (995 32) 2 37 78 07
(995 32) 2 38 78 70

საბავშვო კარუსელი №32 (597)



ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე:
www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

# სკანვორდი


1
2
3
ეს მცენარე ისხამს ყურძენს
4
5
6
7
8
9
10
11
სპორტის სახეობა
12
13
14
15
16

გაატარეთ ზაფხული მხიარულად

# გააფერადეთ არდადეგებზე!

**5** გასაფერადებელი + ფანქრების კომპლექტი
ჟურნალ „საბავშვო კარუსელის“ ბიბლიოთეკისგან




კომპლექტის ფასი
3 ₾

შეიძინეთ პრესის გავრცელების ჯიხურებსა და „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში



# ემზადები სკოლისთვის? მაშინ ეს წიგნები შენთვისაა!

## დამხმარე ლიტერატურა სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის



## 3-6 წელი




10.99 11.99 11.99 3.99

სახალისო დავალებები აზროვნებისა და უნარ-ჩვევების განვითარებისთვის

## მათემატიკის პრაქტიკული სავარჯიშოები 1-4 კლასი

მოემზადე სკოლისთვის






13.99 13.99 14.99

ეს წიგნები მათემატიკას შეგაყვარებს!


იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674
და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.
ინფორმაცია პროექტისა და წიგნების შესახებ: www.palitral.ge Palitra.L.Publishing